




მომწოდებლისთვის მიბრუნების ოპერაცია

ორის ბულეტენში შესაძლებელია მომწოდებლისათვის საქონლის მიბრუნების ოპერაციის შესრულება. შეგიძლიათ ოპერაცია დაამატოთ ხელით ან ჩამოტვირთოთ შემოსავლების სამსახურის ვებ გვერდიდან.


მენეჯერული ოპერაციები/ მომწოდებლისთვის მიბრუნების ოპერაციები. მიბრუნების ოპერაციის დასამატებლად გამოიყენეთ ღილაკების სისტემიდან ღილაკი  ან კლავიატურაზე Insert ან მონაცემთა არეში დაანკაპეთ მაუსის მარჯვენა ღილაკს და კონტექსტური მენიუდან აირჩიეთ ჩანაწერის დამატება



იხილავთ ეკრანს:



გამოსულ ეკრანზე, ველში „ოპერაციის თარიღი“ ჩანერეთ სასურველი თარიღი. ველს „დოკუმენტის ნომერი“ ავტომატურად ავსებს სისტემა, შეგიძლიათ მიუთითოთ თქვენთვის სასურველი ნომერი.

ველში „გამყიდველი“ მიუთითეთ ორგანიზაცია ვისაც უბრუნებთ საქონელს. დადებით აღნიშნულ ველზე  ღილაკზე დაჭერით (ან კლავიატურაზე Alt+B), გადით „დებიტორ/კრედიტორების“ სიაზე. გამოსულ ეკრანში მოძებნეთ და აირჩიეთ მომწოდებელი ორგანიზაცია.

ველი „მომწოდებელი“ ავტომატურად შეივსება. გამყიდველი და მომწოდებელი შესაძლოა სხვადასხვა ორგანიზაცია იყოს.

ველში „ღირებულების ცენტრი “ მიუთითეთ სასურველი ღირებულების ცენტრი(საწყობი) , საიდანაც უნდა დააბრუნოთ საქონელი. ამ შემთხვევაში „საწყობი“

ველში „ვალუტა“ მიუთითეთ სასურველი ვალუტა დადექით აღნიშნულ ველზე ლილაკზე დაჭერით(ან კლავიატურაზე Alt+B),გადით ვალუტების სიაზე ,მოძებნეთ ვალუტა და დააჭირეთ ლილაკზე „ავირჩიოთ“.

ველში „კომენტარი“ მიუთითეთ ოპერაციის კომენტარი ან აირჩიეთ სასურველი კომენტარი სიიდან.

დადექით ბარათზე „მიმღები“.

მიმღები	
მიმღები	სისტემის მფლობელი ორგანიზაცია' <input type="text"/> ჩვეულებრივი
მიმღების მისამართი	თბილისი, პეკინის 10 <input type="text"/>

ბარათში „მიმღები “ არის სისტემის მფლობელი ორგანიზაციის დასახელება, მისამართი და დღგ-ს ტიპი.

ბარათში „სხვადასხვა“ ნახავთ სასაქონლო ბედნადების, ანგარიშ-ფაქტურის ან საგადახდო დოკუმენტის ნომერს და აიდის, იმ შემთხვევაში თუ ოპერაცია ჩამოტვირთული გაქვთ შემოსავლების სამსახურის ვებ გვერდიდან ან ხელით გაქვთ შევსებული აღნიშნული ველები.

შექმნა			
მომწოდებლის შშობელი ანგარიში	3110 <input type="text"/>	მომწოდებლებიდან და მომსახურებიდან	
შემენილი საგნის დაბრუნების ანგარიში	7220 <input type="text"/>	შემენილი საქონლის უკან	
ხარჯის ანგარიში საგნის ჩამოწერისთვის	7210 <input type="text"/>	გაცივებული/შემენილი საქონელი	
ხარჯის ანგარიში ძირითადი საშუალებების ჩამოწერისთვის	8290 <input type="text"/>	სხვა არასაოპერაციო ხარჯები	
გადახდილი დღგ-ს ანგარიში	3340 <input type="text"/>	გადახდილი დღგ	
გადახდილი აქციზის ანგარიში	3360 <input type="text"/>	გადახდილი აქციზი	

ბარათში „გატარებები“ არის მოცემული ანგარიშები ,რომელიც მოყვება სისტემას მიღების ოპერაციის შესაბამისი გატარებების შესასრულებლად. შეგიძლიათ შეცვალოთ ანგარიშები სურვილისამებრ.

დაბრუნდით ბარათზე „გამყიდველი/მომწოდებელი“.

ბარათში „საგნები“ დაამატეთ ჩანაწერი ,ჩანაწერის დასამატებლად გამოიყენეთ ლილაკი (ან კლავიატურაზე Insert).თუ იცით უკან მისაბრუნებელი საქონლის კოდი ან დასახელება დადექით შესაბამის ველზე და აკრიფეთ. ჩამოიშლება სასაქონლო სია ,რომელშიც არის თქვენს მიერ აკრეფილი სიმბოლოები.


კოდი	საგანი
00	...
001	საქონელი1
004	საქონელი2
005	საქონელი3

ამ შემთხვევაში აირჩიეთ კოდი „001“ , საქონლის დასახელებაა „საქონელი1“.


ველში „რაოდენობა“ მიუთითეთ რაოდენობა. ამ შემთხვევაში 6


ველში „ფასი“ მიუთითეთ ერთეულის ფასი. ამ შემთხვევაში 15. სისტემა ველს „თანხა“ ავტომატურად შეავსებს.შეგიძლიათ შეავსოთ ველი „თანხა “ თუ მთლიანი ღირებულება იცით საქონლის და სისტემა ველს „ფასი “ ავტომატურად შეავსებს.

დააჭირეთ ღილაკზე „შევიწახოთ“ . იხილავთ ეკრანს:



თუ გსურთ რომ თქვენს მიერ დამატებული უკან მიბრუნების ოპერაციის შესრულებით შესრულდეს შესაბამისი საბუღალტრო გატარებები, დააჭირეთ ღილაკს „კი“, თუ არ გსურთ დაანკაპეთ ღილაკს „არა“ თუ ისევ უკან მიბრუნების ოპერაციის ეკრანზე გსურთ დაბრუნება დააჭირეთ ღილაკს „უარი“. ამ კონკრეტულ შემთხვევაში დაანკაპეთ ღილაკს „კი“ , უკან მიბრუნების ოპერაციების სიაში დაემატება თქვენს მიერ შესრულებული უკან მიბრუნების ოპერაცია , რომელსაც მოყვება შესაბამისი საბუღალტრო გატარებები.

საბუღალტრო გატარებები , რომელიც უკან მიბრუნების ოპერაციების შესრულებას მოყვა შეგიძლიათ ნახოთ , **ბუღალტერია/გატარებები** ან შეგიძლიათ დადგეთ თქვენს მიერ შესრულებულ უკან მიბრუნების ოპერაციაზე , მომწოდებლისთვის მიბრუნების ოპერაციების ეკრანში და დააჭიროთ ღილაკს  შემდეგ . დააჭიროთ ღილაკს

 **გატარებები** . იხ. ეკრანს:

ოპერაციის კორექტირება

ოპერაციის თარიღი: 27.10.2021 22:03:58

დოკუმენტის ნომერი: 1

ოპერაციის ტიპი: მომწოდებლისთვის მიბრუნება


კომენტარი:

ანგარიში	ანგარიშის დასახელება	დებიტო თანხა	კრედიტო თანხა	ვალუტა	ლირებულზე ცენტრი	დებიტო რაოდენი	კრედიტო რაოდენი	ერთეული	ფულ კაბეჯი
1	3110 1 12345678910 შპს "მ...	75.00		GEL	საწყობი				
2	7220 შექმნილი საქონლი...		63.56	GEL	საწყობი				
3	3340 გადახდილი დღგ		11.44	GEL	საწყობი				
4	7210 გაყიდული/შემენი...	53.92		GEL	საწყობი				
5	1610 1 001 საქონელი1		53.92	GEL	საწყობი		5.0000	ცალი	
		128.92	128.92						

შეინახოთ უარი

შეგიძლიათ ნახოთ გატარებები და დახუროთ ეკრანი.

ეხლა ვნახოთ თუ როგორ ხდება მომწოდებლის მიერ ატვირთული უკან მიბრუნების სასაქონლო ბედნადების ჩამოტვირთვა.

დააჭირეთ ღილაკს .

ჩამოტვირთვით ზედნადები

სერვისის მომხმარებლის: oris_oris:206322102

შეინახე პაროლი:

ორგანიზაცია:

ტიპი

მყიდველის პირადი ნომერი და საიდენტიფიკაციო კოდი

სტატუსი

მანქანის ნომერი

შექმნის თარიღი: 14.10.2021 - 17.10.2021 ჩათვლი

ტრანსპ. დაწყების თარიღი

ჩაბარების თარიღი

დასრულების თარიღი

მძღოლის პირადი ნომერი და საიდენტიფიკაციო კოდი

სრული თანხა

ზედნადების ნომერი

კომენტარი

მიღებული მისაღები

ჩამოტვირთვით ზედნადები შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზიდან

სერვისის შემოწმება

ეკრანზე მითითებულია სერვისის მომხმარებელი და პაროლი.ფილტრში აუცილებელია გაიფილტროს ჩანაწერები შექმნის თარიღით,ტრანსპორტირების დაწყების თარიღით ან ბედნადების ნომრით ჩამოთვლილთაგან რომელიმე მაინც უნდა იყოს გამოყენებული. შეგიძლიათ ასევე დამატებით გამოიყენოთ სხვა ფილტრებიც. ამ შემთხვევაში მონიშნეთ ველი „შექმნის თარიღი“ მიუთითეთ სასურველი დიაპაზონი,ასევე მონიშნეთ ველი „ტიპი“ და დააჭირეთ ღილაკს „მობრუნება“,რათა ეკრანზე გამოჩნდეს მხოლოდ უკან მიბრუნების ბედნადები. დააჭირეთ ღილაკს „ჩამოტვირთვით ზედნადები შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზიდან“.

ეკრანზე გამოჩნდება ფილტრის შესაბამისი სასაქონლო ბედნადები. მოძებნეთ სასაქონლო ბედნადები და მონიშნეთ, რომლის ჩამოტვირთვაც გსურთ. დააჭირეთ ღილაკს „მხოლოდ“.

გამოსულ ეკრანზე მონიშნეთ თარიღი , რითაც გსურთ უკან მიბრუნების ოპერაციის გატარება.დააჭირეთ ღილაკს “OK”.

ასალი მიბრუნება მომწოდებელთან

ოპერაციის თარიღი 27.10.2021 00:00:00 დოკუმენტის ნომერი 2

გამყიდველი/მომწოდებელი მიმღები სხვადასხვა გატარებები

გამყიდველი 12345678910 შპს "მომწოდებელი" ჩვეულებრივი

მომწოდებელი 12345678910 შპს "მომწოდებელი"

მომწოდებლის მისამართი

გადახდის ვადა

ღირებულების ცენტრი საწყობი

ვალუტა GEL კურსი ფიქსირებულია კურსი 1

კომენტარი

საგნები

კოდი	საგანი	რაოდენობა	ერთეული	ფასი	თანა	დღე განაკვეთი	დღე	ერთეული აქციზი	აქციზი	საგნის ტიპი	სააღრიცხვო მონეტელი ანგარიში	მომწოდებლის საგნის
005	საქონელი3	5.0000	ცალი	25	125	18.00...	19.07		0	საქონელი	1610	005

შეინახოთ უარი

სისტემაში თუ ერთხელ მაინც გაქვთ მომწოდებელი ორგანიზაციის მიერ ჩამოტვირთული ის საქონელი რასაც უკან უბრუნებთ, პროგრამა თვითონ დააკავშირებს სისტემაში არსებულ საქონელს. თუ არ გაქვთ მაშინ თქვე თვითონ უნდა დააკავშიროთ .ეს პროცესი აღწერილია დოკუმენტაციაში „მიღებული ზედნაღების ჩამოტვირთვა“. შეინახეთ უკან მიბრუნების ოპერაცია.